

შემუშავებულია 16.04.18 № 20
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დამტკიცებულია 20.04.20
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების, დაფინანსებისა და განკარგვის წესი

მუხლი 1. გამოყენების სფერო

1. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო შრომების კრებული წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებლის ძირითად ბეჭდვით ორგანოს.

მუხლი 3. ნაშრომის დაფინანსება და დაბეჭდვა

2. კრებული გამოდის წელიწადში ერთხელ.
3. შრომების კრებულის გამოცემაზე პასუხისმგებელია სასწავლო-სამეცნიერო სამსახურის სამეცნიერო განყოფილება.
4. სამეცნიერო განყოფილების ხელმძღვანელი აწარმოებს პროფესორ-მასწავლებელთა წლიური სამეცნიერო თემების აღრიცხვას და უზრუნველყოფს მათ რედაქტირებას გამოსაცემად.
5. ნაშრომები შრომათა კრებულში განთავსდება დარგობრივად.
6. კრებულში დასაბეჭდად წარმოდგენილ პუბლიკაციას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი მიმართულების პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის რეცენზია.
7. კრებულის ფორმატს, სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოსა და საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

8. სასწავლო - სამეცნიერო სამსახური/სამეცნიერო განყოფილება კრებულის გამოსაცემ ვარიანტს წარუდგენს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომელიც ამტკიცებს შრომათა კრებულს გამოსაცემად.
9. კრებულში შესაძლებელია განთავსდეს სხვა სასწავლო, სამეცნიერო და აკადემიური დაწესებულებების თანამშრომელთა მიერ დასაბეჭდად წარმოდგენილი ნაშრომები, თუ მათი დაბეჭდვის მიზანშეწონილობა არგუმენტირებულად იქნება დასაბუთებული შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის მიერ.
10. კრებული იბეჭდება არაუმეტეს 100 ეგზემლარი ტირაჟით.
11. გამომცემლობიდან მიღებული ნაბეჭდი პროდუქცია სრული ტირაჟით ჩაბარდება სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აღრიცხვის მიზნით, მათ შორის:
 - ა) საინვენტარო წიგნში ბალანსზე აღირიცხება არანაკლებ 10 ერთეული;
 - ბ) სასაჩუქრე წიგნად ფონდში დანარჩენი ეგზემპლარი;
12. სასწავლო უნივერსიტეტის კრებული გაეგზავნება:
 - ა) საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას (2 სავალდებულო ეგზემპლარის სახით);
 - ბ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას 4 ეგზ;
 - გ) ავტორიზებულ უმაღლეს საგანამანთლებლო დაწესებულებებს;
13. კრებული შეიძლება გასაჩუქრდეს:
 - ა) უნივერსიტეტის სტუმრებზე, ინდივიდუალურ პირებზე, წარჩინებულ სტუდენტებზე;
 - ბ) ნაშრომში გამოქვეყნებულ პუბლიკაციის ავტორებზე (2 ეგზ).
14. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ხელშეწყობის ფარგლებში უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან დაფინანსდება შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (უნივერსიტეტის პროფესორის ან პროფესორთა ჯგუფის) მიერ დასაბეჭდად წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი(მონოგრაფია)
15. ნაშრომის ტირაჟი განისაზღვრება არაუმეტეს 100 ეგზემლარით.
16. დასაბეჭდად წარმოდგენილი ნაშრომი აკადემიურ საბჭოზე განიხილება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე, რომელშიც წარმოდგენილი ნაშრომის სამეცნიერო ღირებულება დადებითად იქნება წარმოჩენილი.
17. ნაშრომს დასაბეჭდად რეკომენდაცია გაეწევა იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოადგენს შესაბამისი დარგის ძირითად ან დამხმარე სახელმძღვანელოს/ლიტერატურას, მოიცავს უნივერსიტეტში აღწერილ სასწავლო პროგრამების შინაარსს, კერძოდ:



ა) წარმოდგენს ლექციების კურსს;

ბ) პრაქტიკული მეცადინეობის პროგრამას;

გ) იძლევა საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ მასალას უნივერსიტეტის სასწავლო დისციპლინების შესწავლისათვის სწავლების სხვადასხვა საფეხურზე და სხვა.

მუხლი 3. შრომათა კრებულის/ნაშრომის განკარგვა

1. დასაბეჭდად რეკომენდებული ნაშრომი დაიბეჭდება შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გრიფითა და ლოგოთი.
2. აკადემიური საბჭოს შუამდგომლობით წარმომადგენლობითი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ნაშრომის დაფინანსების შესახებ.
3. უნივერსიტეტის შრომათა კრებულისა და აკადემიური პერსონალის მიერ დასაბეჭდად წარმოდგენილი სხვა სასწავლო/სამეცნიერო პროდუქციის დაბეჭდვა/გამოცემა მთლიანად ხორციელდება უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან.
4. აკადემიური საბჭოს შუამდგომლობით წარმომადგენლობითმა საბჭომ შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორის მიერ დასაბეჭდად წარმოდგენილი ნაშრომის სხვა წყაროებით (სპონსორები, თანადაფინანსება) დაფინანსების შესახებ.

მუხლი 4. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების, დაფინანსებისა და განკარგვის წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

